შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის

2024 წლის შესრულების ანგარიში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის

2024 წლის შესრულების ანგარიში

თბილისი
2025

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
მისამართი: თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. № 7
ტელეფონი: (+995 32) 2 92 32 99; (+995 32) 2 92 26 32
ვებ-გვერდი: www.smr.gov.ge
ელ-ფოსტა: press@smr.gov.ge

მოკლე მიმოხილვა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული, მულტიკულტურული და დემოკრატიული საზოგადოების გაძლიერებას ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების განმტკიცების გზით. სახელმწიფო უწყვეტად აგრძელებს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვასა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართულ ძალისხმევას, კონსტიტუციური და მაღალი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

დასახული მიზნების მისაღწევად, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითადი მექანიზმია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან განვითარებასა და ხელშესახები, მდგრადი შედეგების მიღწევაზე. პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ხუთ ურთიერთდაკავშირებულ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელიც ქმნის სამოქალაქო ინტეგრაციის კომპლექსურ ჩარჩოს. კერძოდ: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა; თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა; სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია; კულტურათაშორისი დიალოგი.

წინამდებარე ანგარიში ასახავს ზემოაღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში სტრატეგიის განმახორციელებელი უწყებების მიერ 2024 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს.

ანგარიშში კონსოლიდირებული სახით წარმოდგენილია როგორც მიღწეული ძირითადი შედეგები/პროგრესი, ასევე განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნული დოკუმენტი არამხოლოდ სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის ანალიზს წარმოადგენს, არამედ ამავდროულად, არის ერთგვარი გზამკვლევი შემდგომი წლების სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის, რათა სამოქალაქო თანასწორობისა დაის ეფექტიანობა გაიზარდოს და უზრუნველყოს დასახული მიზნების დადგენილ ვადებში მიღწევა .

ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმით 2024 წელს გათვალისწინებული საქმიანობის შედეგები, აქტივობების შესრულების სტატუსი და მიღწეული პროგრესი 5 სტრატეგიული პრიორიტეტის შესაბამისი 9 მიზნისა და 21 ამოცანის მიხედვით.

აქტივობების შესრულების სტატუსის ანალიზი მკაფიოდ ასახავს როგორც სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში მიღწეულ კონკრეტულ შედეგებს, ასევე არსებულ გამოწვევებს.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში, პასუხისმგებელი უწყებების მიერ დამატებით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი დამატებითი აქტივობა, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის უფრო ეფექტიან შესრულებას

და ეთნიკური უმცირესობებისთვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

შესრულების სტატუსის მიხედვით, აქტივობების კლასიფიკაცია შემდეგნაირად განაწილდა:

- სრულად განხორციელდა – 116 აქტივობა, რაც მიუთითებს, რომ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები ეფექტიანად განხორციელდა და მათმა უმეტესობამ განსაზღვრული მიზნების მიღწევა უზრუნველყო.
- მეტწილად განხორციელდა – 16 აქტივობა, რაც ნიშნავს, რომ აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულდა, თუმცა შესაძლოა დარჩენილმა ნაწილმა დამატებითი ძალისხმევა და/ან კორექტირება და/ან გაგრძელება მოითხოვოს.
- ნაწილობრივ განხორციელდა – 31 აქტივობა, რაც მიუთითებს, რომ აქტივობების განხორციელების მიზნით გარკვეული პროცესები დაიწყო, მაგრამ ბოლომდე არ შესრულებულა. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს რესურსების შეზღუდვით, საორგანიზაციო ბარიერებით ან სხვა ფაქტორებით.
- არ დაწყებულა – 12 აქტივობა - რომელთა განხორციელება 2024 წლის განმავლობაში ვერ დაიწყო და საჭიროებს განხორციელების ხელშემწყობი ნაბიჯების გადადგმას.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება, თუმცა არსებობს მიმართულებები, სადაც დამატებითი ძალისხმევაა საჭირო, რათა სტრატეგიის სრულფასოვანი იმპლემენტაცია უზრუნველყოფილ იქნას. მომავალი წლების საქმიანობის დაგეგმვისას საჭიროა როგორც წარმატებული აქტივობების შემდგომი გაფართოვება/გაძლიერება, ისე იმ პროექტების გადახედვა/ჩანაცვლება, რომლებიც ნაწილობრივ შესრულდა ან ვერ დაიწყო, რათა სამოქალაქო თანასწორობის პოლიტიკა კიდევ უფრო ეფექტიანი და ყოვლისმომცველი გახდეს.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად

სახელმწიფო ენის ცოდნა ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობისთვის. ქართული ენის ცოდნა უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას განათლებაზე, დასაქმების შესაძლებლობებზე, სახელმწიფო სერვისებზე და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაზე. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა მიზნად ისახავს სწავლების შესაძლებლობების გაფართოებას, ბილინგვური განათლების განვითარების მხარდაჭერას და ზრდასრულთათვის ენის შესწავლის პროგრამების გაძლიერებას.

ქართული ენის სწავლების ადრეულ ეტაპზე დაწყება და სისტემური მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა სწავლების პროცესი არ აღიქმებოდეს როგორც ბარიერი, არამედ გახდეს ეთნიკური უმცირესობების ეფექტიანი ინტეგრაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. სწორედ ამიტომ, ბილინგვური განათლების მოდელის განვითარება ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

2021 წლიდან საპილოტე რეჟიმში დანერგილი ბილინგვური განათლების პროგრამის შეფასებამ დაადასტურა მისი წარმატება, რის საფუძველზეც პროგრამა გაფართოვდა და 2024 წელს უკვე 34 არაქართულენოვან საბავშვო ბაღსა და 184 საჯარო სკოლაში ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ენის სწავლება სკოლამდელი განათლების საფეხურზე უფრო ეფექტიანია, რაც შემდგომი განათლების საფეხურებზე მაღალ შედეგებს განაპირობებს.

ამავდროულად, არაფორმალური განათლების მიმართულებით გაგრძელდა ბილინგვური პროექტების დანერგვა/გაძლიერება. არაქართულენოვან მოსახლეობას უკვე აქვს წვდომა მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებზე, რომლებიც ეხმარება მათ ქართული ენის ათვისებაში და ინტეგრაციის პროცესში.

პროფესიული განათლების სფეროში ქართული ენის სწავლების ინტეგრირებულმა კურსმა მნიშვნელოვანწილად გაზარდა ეთნიკური უმცირესობების დაინტერესება პროფესიული განათლებით. თუ ადრე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ის, რომ არაქართულენოვან ახალგაზრდებს პროფესიული განათლების მიღებისას ენის ბარიერი ექმნებოდათ, ახლა მათთვის სწავლება უფრო ხელმისაწვდომი გახდა, რაც დასტურდება კონკრეტული მონაცემებით: უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა 27%-ით გაიზარდა.

მნიშვნელოვანია, რომ პროფესიულ სასწავლებლებში განათლების მიღება გახდა უფრო მოქნილი და მოთხოვნებზე ორიენტირებული, რაც არა მხოლოდ დასაქმების შესაძლებლობების, არამედ სამოქალაქო ინტეგრაციის ხარისხის ზრდის წინაპირობას წარმოადგენს.

ზრდასრულთა განათლების მიმართულებით განსაკუთრებით ეფექტიანად წარიმართა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროგრამები. საანგარიშო პერიოდში 12 სასწავლო ცენტრისა და მობილური ჯგუფების დახმარებით 5500-ზე მეტმა მოქალაქემ გაიარა ენის სწავლების კურსი, ხოლო საჯარო და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ 283 ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენელს მიეცა შესაძლებლობა, აემაღლებინათ ენის ცოდნის დონე სახელმწიფო სექტორში სრულფასოვანი ჩართულობისთვის.

ქართული ენის სწავლების მეთოდების დივერსიფიკაციამ – დისტანციური, ჰიბრიდული და მობილური სწავლების მოდელების დანერგვამ და მისი არეალის გაფართოებამ – მნიშვნელოვნად გაზარდა პროგრამების ხელმისაწვდომობა, რაც ხაზგასმით აჩვენებს სწავლების მეთოდების მოქნილობასა და მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის საჭიროებებზე ადაპტაციის კუთხით გაწეულ ძალისხმევას.

ქართულ ენაზე სწავლების ეფექტიანობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, არამედ ცნობიერების ამაღლების კამპანიების აქტიურად წარმართვაც. 2024 წელს სახელმწიფო უწყებების მიერ რეგიონებში განხორციელდა ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანიები ქართული ენის პოპულარიზაციის, ცოდნის მნიშვნელობისა და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ ინფორმირების გაზრდის მიზნით.

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ინიციატივა იყო სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული კამპანია „ქართული ენა გვაერთიანებს“, რომელიც საინფორმაციო-საკომუნიკაციო მექანიზმების გამოყენებით მთელი ქვეყნის მასშტაბით ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

სახელმწიფო ენის პოპულარიზაციისა და შესწავლის მოტივაციის ზრდის მიმართულებით განხორციელებულმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა ცხადყო, რომ სახელმწიფო ენის სწავლება გახდა მრავალმხრივად ხელმისაწვდომი და მოქნილი, საჭიროებებზე მორგებული პროცესი.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ბილინგვური განათლების გაფართოება, პროფესიულ სასწავლებლებში სახელმწიფო ენის ინტეგრირებული სწავლება, ზრდასრულთა განათლების პროგრამების გაძლიერება და ქართული ენის პოპულარიზაციის კამპანიები ქმნის მდგრად საფუძველს, რომელიც ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიურ ჩართულობას.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა

განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს. განათლების სისტემის ინკლუზიურობა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნა პირდაპირ უკავშირდება ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან ინტეგრაციას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ემსახურებოდა სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას, განათლების გაძლიერებას და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას, პროფესიული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება სრულად დაცულია, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს გრძელვადიანი პოლიტიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს. დღესდღეობით, საქართველოში ფუნქციონირებს 298 არაქართულენოვანი სკოლა და სექტორი, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ, განათლება თავიანთ მშობლიურ ენაზე მიიღონ.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების სწავლება. დღესდღეობით, ოსური, ასურული, ჩეჩნური, უდიური და ხუნძური ენების სწავლება 12 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს, რაც იშვიათი პრეცედენტია რეგიონში და უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული გეგმა ეტაპობრივად ხორციელდება განათლების ყველა საფეხურზე, რაც მოიცავს სწავლების

მეთოდოლოგიის განახლებას, თანამედროვე მიდგომების დანერგვასა და შესაბამისი სახელმძღვანელოების შემუშავებას.

არაქართულენოვანი სკოლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა ძირითადი საგნის სახელმძღვანელოები თარგმნილი იყოს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილებას. შესაბამისად, 2024 წელს განხორციელდა ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა და სახელმძღვანელოების განახლება.

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა მაღალკვალიფიციური პედაგოგების დეფიციტი, რაც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, 2024 წელს 144 კონსულტანტ-მასწავლებელი გაიგზავნა რეგიონებში, რაც სრულად პასუხობდა სკოლების მოთხოვნას.

ამასთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის ქართულ ენაში გადამზადება გაიარა 655 არაქართულენოვანი პედაგოგმა და 93 ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელმა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს და ხელს უწყობს ორენოვანი განათლების მოდელის გაუმჯობესებას.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება განათლების ხარისხის ამაღლების განუყოფელი ნაწილია. სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, 2024 წელს ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში განხორციელდა 20 არაქართულენოვანი სკოლისა და 21 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო და მშენებლობის პროექტები. ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოიცავდა სკოლებისა და ბაღების შენობების რეაბილიტაციას, თანამედროვე სასწავლო სივრცეების შექმნას, ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკების აღჭურვას, რაც პირდაპირ კავშირშია განათლების ხარისხის ამაღლებასთან.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისთვის ბოლო წლებში სტაბილურად იზრდება. აღნიშნული განათლების მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამუშაო ბაზარზე ინტეგრაციისა და დასაქმების პერსპექტივების გასაუმჯობესებლად. 2024 წელს პროფესიულ სასწავლებლებში ჩაირიცხა 485 არაქართულენოვანი სტუდენტი, რაც აჩვენებს ეთნიკური უმცირესობების მზარდ ინტერესს პროფესიული განათლებისადმი. გარდა ამისა, მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების ამოქმედება საჯარო სკოლების ბაზაზე. აღნიშნული ინიციატივა უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს არაქართულენოვან ახალგაზრდებს საკუთარ საცხოვრებელთან ახლოს მიიღონ პროფესიული განათლება. ამ ეტაპზე, პროფესიული უნარების საორიენტაციო და სასერტიფიკაციო კურსები ხორციელდება 49 არაქართულენოვან საჯარო სკოლაში, რაც ზრდის ახალგაზრდების შესაძლებლობებს კონკურენტუნარიანი უნარების განვითარებისთვის.

უმაღლესი განათლების სფეროში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „1+4 ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მიიღონ უმაღლესი განათლება სახელმწიფო უნივერსიტეტებში ქართული ენის ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის

გავლის შემდეგ. 2024 წელს აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო 1,577 სტუდენტი, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლების პროგრამა კვლავაც უმნიშვნელოვანესია ეთნიკური უმცირესობების უმაღლეს განათლებაში ინტეგრაციისთვის. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის განმავლობაში პროგრამის დაფინანსება გაორმაგდა (გაიზარდა 100%-ით), რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. ამასთან, მიმდინარეობს „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ გადამუშავება, რათა ის უკეთესად იყოს მორგებული თანამედროვე საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის საჭიროებებს.

დიაგრამა 1. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფა. სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ თითოეულ მოქალაქეს, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ჰქონდეს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სრულფასოვნად ისარგებლოს დემოკრატიული საზოგადოების ყველა უფლებით.

ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მოიცავს, როგორც საარჩევნო უფლების ეფექტიან რეალიზებას, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფრო ეფექტიან ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, საკონსულტაციო მექანიზმების

გაძლიერებას, ასევე დეზინფორმაციის პრევენციას, საჯარო სამსახურში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას და სხვა.

2024 წელს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) მიერ გადადგმული ნაბიჯები ემსახურებოდა საარჩევნო გარემოს ინკლუზიურობას, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში თანასწორი და სრული ჩართულობის უზრუნველსაყოფას.

მათ შორის:

- ✓ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და გავრცელდა საარჩევნო დოკუმენტაცია და შესაბამისი საინფორმაციო მასალები;
- ✓ საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა გადამზადება; არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა და კომისიების წევრთა სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც;
- ✓ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები საარჩევნო სიახლეებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ;
- ✓ ინტენსიურ რეჟიმში წარიმართა საგანმანათლებლო პროექტები და ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელმაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ყველა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მოიცვა.

აღნიშნულმა ხელი შეუწყო საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის გაძლიერებას და საარჩევნო უფლების უფრო ეფექტიანად რეალიზებას, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციისთვის.

სამოქალაქო მონაწილეობისთვის საკონსულტაციო მექანიზმების ეფექტიანობა გადამწყვეტი ფაქტორია. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა და შესაბამისმა უწყებებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაძლიერებაზე, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე. საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერება ემსახურება თვითმმართველობებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების უფრო გახსნილად მუშაობას, რაც შესაძლებლობას აძლევს ეთნიკურ უმცირესობებს, თავიანთი საჭიროებები უშუალოდ გაუზიარონ შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებს. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შეხვედრები და დისკუსიები გაიმართა, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინტეგრაციის გაძლიერების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატი განაგრძობს „1+4 სტაჟირების პროგრამის“ განხორციელებას. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის საჯარო სამსახურის სპეციფიკის გაცნობას, პროფესიული

უნარების განვითარებას და სამუშაო გამოცდილების შეძენას. 2021-2023 წლებში პროგრამაში ჩართული იყო 90-მდე ახალგაზრდა, რომელთაგან 54 ეთნიკური სომეხი და 34 ეთნიკური აზერბაიჯანელი. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარების 74%-ს გოგონები წარმოადგენდნენ, რაც ქალთა გაძლიერების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი მონაცემია.

2024 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სტაჟირების პროგრამა გახდა ანაზღაურებადი, რაც კიდევ უფრო გაზრდის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მოტივაციას, გახდნენ საჯარო სამსახურის ნაწილი და გამოსცადონ საჯარო სექტორში მუშაობის პროცესი.

თანამედროვე სამყაროში მედია და ინფორმაცია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციაში. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მედიის როლის გაძლიერების მიზნით, ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედია პლატფორმები, რომელთა მიზანია ინფორმაციის გავრცელება, დეზინფორმაციის პრევენცია და სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება. 2024 წელს გაგრძელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ტრანსლირება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რაც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მუდმივად იყვნენ ინფორმირებული ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე. ფუნქციონირებს შვიდენოვანი ვებ-პორტალი **www.1tv.ge**, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო რესურსებს ასევე ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

სახელმწიფოს დაფინანსებით გრძელდება სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების რეგულარული გამოცემა. ყოველკვირეული გაზეთები – „ვრასტანი“ (ტირაჟი 3500) და „გურჯისტანი“ (ტირაჟი 3000) – მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში. ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა გაზეთების განვითარების საჭიროებები, რის საფუძველზეც გადაწყვეტილება იქნა მიღებული გაზეთების დაფინანსების გაზრდის შესახებ.

გარდა ამისა, 2024 წელს დაიწყო ფართომასშტაბიანი ტრენინგ-სემინარები, რომელთა თემატიკა მოიცავდა ადამიანის უფლებებს, გენდერულ თანასწორობას, ანტიდისკრიმინაციას, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლასა და მედია-წიგნიერებას. ამ აქტივობებში 3000-ზე მეტმა ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა, რაც აჩვენებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისადმი საზოგადოებაში მზარდ ინტერესსა და საჭიროებას.

თანასწორობის, სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფის პროცესში 2024 წელს განხორციელებული ინიციატივები მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ გაგრძელდება საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მხარდაჭერა და საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ, ინკლუზიური და/მონაწილეობითი საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4: სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია

სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის პრიორიტეტი მიზნად ისახავს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, ეკონომიკური ჩართულობის წახალისებას და სახელმწიფო სერვისებზე წვდომის ზრდას. ამ კუთხით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში, სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევა ითვალისწინებს, როგორც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ისე მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობას.

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნულ რეგიონებში განხორციელდა მრავლობითი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საცხოვრებელი გარემოსა და მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებას, სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ინფრასტრუქტურულ განახლებებზე, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკური აქტივობის ზრდას და სოციალური ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას.

შიდა გზების რეაბილიტაცია, საირიგაციო სისტემების აღდგენა და სასმელი წყლის ქსელის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, რომლებიც არა მხოლოდ ცხოვრების ხარისხს ამაღლებს, არამედ რეგიონების ეკონომიკურ განვითარებასაც განაპირობებს. წყალმომარაგების სისტემების მოდერნიზაციის შედეგად, მოსახლეობას მიეწოდა სტაბილური და ხარისხიანი სასმელი წყალი, რაც ჯანდაცვის სფეროს გაუმჯობესებასაც უწყობს ხელს. საირიგაციო სისტემების განახლება კი, ფერმერებისთვის და აგრარული სექტორის წარმომადგენლებისთვის ქმნის დამატებით შესაძლებლობებს, რაც პირდაპირ კავშირშია ამ რეგიონების ეკონომიკურ განვითარებასთან. ამავდროულად, რეგიონებში განხორციელებული პროექტები მოიცავდა განათების სისტემების განახლებას, რაც სოციალური გარემოს განვითარებას ემსახურება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად განხორციელებული პროექტების რაოდენობა მზარდია. 2024 წელს სამივე რეგიონში დასრულდა 123 მილიონი ლარის ღირებულების პროექტები, რაც ცხადყოფს, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

თუმცა, ინფრასტრუქტურის განვითარება მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია სოციალური ინტეგრაციის პროცესში. ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ინფორმირებულობის ამაღლება ასევე მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მიმართულებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და კოორდინირებით, საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა უპრეცედენტოდ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო სერვისების, სოციალური პროგრამების, ჯანდაცვის, განათლებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. კამპანიების ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 60-მდე შეხვედრა, რომლებიც მოიცავდა 170-მდე სოფლის 3 000-ზე მეტ წარმომადგენელს. აღნიშნული ინიციატივები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც სახელმწიფო სერვისებზე ინფორმაციის ნაკლებობის

გამო ვერ იყენებდნენ არსებულ შესაძლებლობებს. შეხვედრების დროს ადგილობრივი მოსახლეობა დეტალურად გაეცნო საგანმანათლებლო, სოციალური, ჯანდაცვის, ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებულ სახელმწიფო პროგრამებსა და მხარდაჭერის მექანიზმებს. აღნიშნული კამპანიები, რომლებიც ორიენტირებულია პირდაპირ კომუნიკაციაზე, კარდაკარ პრინციპით ინფორმაციის გავრცელებასა და აქტიურ ჩართულობაზე, ხელს უწყობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და სახელმწიფო სერვისების გამოყენების ზრდას.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი საინფორმაციო კამპანიების შედეგიანობა მრავალმხრივია: ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა უკეთ ეცნობა სახელმწიფო სერვისებს და მეტად აქტიურად იყენებს მათ, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო უწყებებს ეძლევათ შესაძლებლობა, უშუალოდ მოისმინონ მოსახლეობის საჭიროებები და მათი გათვალისწინებით დაგეგმონ შემდეგი აქტივობები.

ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს აქვს გრძელვადიანი და სტაბილური მხარდაჭერა. მიუხედავად არსებული მიღწევებისა, კვლავ რჩება გამოწვევები, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს ინტენსიურ ძალისხმევას. კერძოდ, საჭიროა სერვისებზე წვდომის კიდევ უფრო გაძლიერება, ბიზნესის განვითარების დამატებითი შესაძლებლობების შექმნა და ინფრასტრუქტურული პროექტების კიდევ უფრო მასშტაბური განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროგრამების მხარდაჭერას ამ რეგიონებში, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს თვითდასაქმების და ეკონომიკური გაძლიერების მეტი შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი სახელმწიფო ინიციატივები გაგრძელდეს და კიდევ უფრო დაიხვეწოს, რათა მიღწეული შედეგები იყოს მდგრადი და ამ რეგიონების მოსახლეობისთვის ყოველდღიური ცხოვრების ხარისხი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს.

ამრიგად, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ქმნის მტკიცე საფუძველს ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიური და სრულფასოვანი ჩართულობისთვის.

სტრატეგიული პრიორიტეტი 5. კულტურათაშორისი დიალოგი

საანგარიშო პერიოდში კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობის მიზნით არაერთი ინიციატივა განხორციელდა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების კულტურის წარმოჩენას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას ემსახურებოდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სხვადასხვა ეთნოსს შორის კულტურული დიალოგის შემდგომ გაძლიერებას.

სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით გაგრძელდა მუზეუმებისა (272,000 ლარი) და თეატრების (1,952,000 ლარი) დაფინანსება, რაც უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობას და განვითარებას. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში მუნიციპალიტეტებში განხორციელდა რიგი პროექტები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების კულტურის

პოპულარიზაციასა და მრავალფეროვანი კულტურული გარემოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნება ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითგამოხატვის სივრცეების გაფართოება და მათი კულტურულ ინიციატივებში ჩართულობის გაძლიერება, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაძლიერდეს ინკლუზიური გარემო.

შესავალი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ემყარება დემოკრატიული საზოგადოების განმტკიცებისა და თანასწორობის პრინციპებს, რაც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია. სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია ეთნიკური უმცირესობებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა სფეროში – იქნება ეს განათლება, საზოგადოებრივი მონაწილეობა, დასაქმება თუ კულტურული თვითმყოფადობის დაცვა.

აღნიშნულ პროცესში ძირითად მექანიზმს წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმები, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების ყველა წევრისთვის, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა/განმტკიცებას, ეთნიკური იდენტობის დაცვის უზრუნველყოფას, ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გაძლიერებას.

სტრატეგიის ფუნდამენტური პრინციპია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, სრულფასოვნად მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აქტიური როლი ითამაშოს საზოგადოებრივი პროცესების განვითარებაში.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის აღსრულების პროცესში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი წარმოადგენს მთავარ მაკოორდინირებელ უწყებას, რომელიც ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელების მონიტორინგსა და ანგარიშგებას უზრუნველყოფს. ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2020 წლის №122 დადგენილებით შექმნილ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიას, რომლის მთავარი მიზანია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების სისტემატური შეფასება, სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგი და სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიშს (იანვარი-დეკემბერი). დოკუმენტის მთავარი მიზანია იმ მიღწევების და შედეგების ანალიზი, რაც სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში აღინიშნა. ამ პროცესში ყურადღება ექცევა

კონკრეტული ღონისძიებების შესრულების ხარისხს, არსებული გამოწვევებისა და გაუმჯობესების საჭიროებების, ასევე პოლიტიკის ეფექტიანობის გამოვლენას.

პროგრეს ანგარიში შეიმუშავა სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, რომელიც ეყრდნობა სტრატეგიის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილ სტატუსანგარიშებს. დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის №629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად.

დოკუმენტი მოიცავს სამოქმედო გეგმის შესრულების დეტალურ ანალიზს სტრატეგიის ხუთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა; თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა; სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია; კულტურათაშორისი დიალოგი.

2024 წლის პროგრეს ანგარიში აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობას. თუმცა, კვლავ რჩება გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს დამატებით ძალისხმევას, სტრატეგიული მიდგომების დახვეწას და ახალ საჭიროებებზე მორგებული ქმედებების გატარებას.

მომდევნო წლებში სახელმწიფო გააგრძელებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას, გააფართოებს სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებს და კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებს სერვისებსა და შესაძლებლობებზე ეთნიკური უმცირესობების წვდომას.

ზოგადი პროგრესი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესის ეფექტიანობის შეფასება მნიშვნელოვანი ინდიკატორია მიღწეული პროგრესის დასადგენად და სამომავლო ნაბიჯების დასაგეგმად. სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული 9 მიზნისა და 21 ამოცანის შესაბამისად, 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავდა 192 აქტივობის (მათ შორის 2024 წლის 175 აქტივობა) განხორციელებას, რაც მრავალმხრივ პოლიტიკურ, სოციალურ და საგანმანათლებლო მიმართულებებს ფარავდა.

საანგარიშო პერიოდის შედეგების მიხედვით, გეგმური აქტივობების საერთო შესრულების მაჩვენებელმა 66% შეადგინა. კერძოდ, 2024 წლის განმავლობაში სრულად განხორციელდა 116 აქტივობა, რაც მიუთითებს სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროგრესზე, მაგრამ ასევე აჩენს საჭიროებას დამატებითი ძალისხმევისთვის. დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი სრულად შესრულდა, თუმცა ნაწილი მეტწილად ან ნაწილობრივ განხორციელდა, ხოლო ზოგიერთი პროექტი ჯერ არ დაწყებულა.

აქტივობების სტატუსი ასახავს როგორც წარმატებებს, ისე იმ გამოწვევებს, რომლებიც საჭიროებს კოორდინაციის გაძლიერებას, რესურსების უკეთ მართვას და სტრატეგიული მიდგომების დახვეწას.

პროცესის შეფასება სტატისტიკური და ვიზუალური მონაცემებით ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს პროგრესის უფრო მკაფიო ანალიზს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია აქტივობების შესრულების სტატუსი და მათი რაოდენობრივი განაწილება, რაც ნათლად ასახავს იმ პროგრესს, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაშია მიღწეული.

დიაგრამა 2. აქტივობების შესრულების სტატუსი და რაოდენობა



სტრატეგიული მიზნების მიხედვით ამოცანების შესრულების დონე, რომელიც სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების შესაბამისი პროგრესის საფუძველზეა მომზადებული წარმოდგენილია დიაგრამაში 3.

დიაგრამა 3. მიზნების მიხედვით ამოცანების პროგრესის საშუალო პროცენტული მაჩვენებლები დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად



სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 192 აქტივობის (მათ შორის 2024 წლის 175 აქტივობა) შესრულებაზე პასუხისმგებელია 21 უწყება[1], მათ შორის ერთ აქტივობაზე - გაზეთ „გურჯისტანისა“ და „ვრასტანის“ რედაქციები, კერძოდ:

- ❖ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი პასუხისმგებელია 18 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო - 40 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 13 აქტივობაზე;

[1] შენიშვნა: სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მუნიციპალიტეტების მერიების მიერ აქტივობებზე აღებული ვალდებულებები წარმოდგენილია რეგიონულ ჭრილში, კონსოლიდირებულად. იმ შემთხვევაში თუ აქტივობებს დავითვლით პასუხისმგებელი უწყების მიხედვით, ჯამში გამოდის 142 აქტივობა.

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა სამინისტრო - 5 აქტივობაზე;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - 7 აქტივობაზე;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 2 აქტივობაზე;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 4 აქტივობაზე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 4 აქტივობაზე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - 4 აქტივობაზე;
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო - 9 აქტივობაზე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 2 აქტივობაზე;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - 1 აქტივობაზე;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიები - 4 აქტივობაზე;
- სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია - 4 აქტივობაზე;
- ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტის მერიები - 54 აქტივობაზე;
- კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტის მერიები - 8 აქტივობაზე;
- კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია - 2 აქტივობაზე
- სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი - 1 აქტივობაზე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 5 აქტივობაზე;
- ცენტრალური საარჩევნო კომისია - 6 აქტივობაზე;
- გაზეთების: „ვრასტანი" და "გურჯისტანი" რედაქციები - 1 აქტივობაზე.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ და მაკოორდინირებელ აქტორს - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს.

დიაგრამა 4. აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში



აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში წარმოდგენილია დიაგრამაში 4, ხოლო უწყებების მიერ აქტივობების შესრულების სტატუსი წარმოდგენილია დიაგრამაში 5, აქტივობების შესრულების საშუალო მაჩვენებელი კი, დიაგრამაში 6.

დიაგარამა 5. აქტივობების შესრულების სტატუსები მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით



დიაგრამა № 6. უწყებების აქტივობების პროგრესის საშუალო მაჩვენებლები



დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში

ამოცანა 1.1 სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება)

პირველი სტრატეგიული პრიორიტეტი – „სახელმწიფო ენა ინტეგრაციისთვის“ მნიშვნელოვანი კომპონენტია ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო ენის ცოდნა განაპირობებს განათლებაზე, დასაქმებაზე და სახელმწიფო სერვისებზე თანაბარ წვდომას.

2024 წლის განმავლობაში სახელმწიფო ენის სწავლების, პოპულარიზაციისა და მისი ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფაზე მიმართულმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. სამოქმედო გეგმის ფარგლებში წარმატებით გაგრძელდა ენის სწავლების ხელშეწყობის პოლიტიკის განხორციელება განათლების ყველა საფეხურზე – სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების, ასევე ზრდასრულთა განათლების მიმართულებით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბილინგვური განათლების მოდელის გაძლიერებასა და გეოგრაფიული არეალის გაფართოებას.

- ბილინგვური სწავლების მოდელი წარმატებით ინერგება 34 არაქართულენოვან საბავშვო ბაღსა და 184 სკოლაში, რაც მნიშვნელოვან წინსვლას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით.
- მასწავლებელთა პროფესიული მომზადება და გადამზადება გახდა კიდევ ერთი პრიორიტეტი. 400-ზე მეტი ბილინგვური განათლების სპეციალისტი გადამზადდა, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ეფექტიანობას.
- 296 არაქართულენოვან სკოლასა და სექტორში, სადაც სწავლობს 54 544 მოსწავლე, სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის თანამიმდევრულობასა და ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან ჩართულობას.

პროფესიულ განათლებაში სახელმწიფო ენის სწავლების ინტეგრაცია საგრძნობლად ამაღლებს ეთნიკური უმცირესობების დასაქმების პერსპექტივებს, რაც ეკონომიკური სტაბილურობისა და საზოგადოებაში ჩართულობისკენ მიმართულ ნაბიჯს წარმოადგენს

- პროფესიულ სასწავლებლებში სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს ენის სპეციალური მოდულის სახით, რაც ხელს უწყობს პროფესიული უნარების განვითარების პროცესში ქართული ენის ცოდნის ინტეგრაციას.

- პროფესიული განათლების სექტორში ბოლო ოთხ წელიწადში 27%-ით გაიზარდა სტუდენტთა ჩართულობა, რაც პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

უმაღლესი განათლების მიმართულებით „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა“ კვლავ რჩება უმნიშვნელოვანეს მექანიზმად, რომელიც არაქართულენოვან ახალგაზრდებს უმაღლეს განათლებაში სრულფასოვანი ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს. 2024 წელს აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო 1 577 სტუდენტი, რაც ცხადყოფს ეთნიკური უმცირესობების მზარდ ინტერესს უმაღლესი განათლების მიმართ. პროგრამის დაფინანსება 2024 წელს 100%-ით გაიზარდა, რაც სახელმწიფოს მხრიდან უმაღლესი განათლების მხარდაჭერის კიდევ უფრო გაძლიერების მკაფიო ნიშანია.

ზრდასრულ მოქალაქეებს ენის შესწავლის დამატებითი შესაძლებლობები გააჩნიათ, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შრომით ბაზარზე ინტეგრაციისთვის და სამთავრობო სექტორში დასაქმების ხელშეწყობისთვის.

- სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ გააფართოვა პროგრამები, რის შედეგადაც 12 სასწავლო ცენტრში, მობილური ჯგუფების, დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების საშუალებით, 5500-ზე მეტმა ზრდასრულმა მოქალაქემ გაიუმჯობესა ქართული ენის ცოდნა.
- სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადდა საჯარო და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული 481 პირი, მათ შორის 2023 წელს – 198, ხოლო 2024 წელს – 283 ადამიანი.
- სახელმწიფო ენის კურსი (A1, A2 და B1 დონე) წარმატებით გაიარა 380 მასწავლებელმა, რაც კიდევ უფრო ზრდის განათლების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში სახელმწიფო ენის სწავლება მაღალ დონეზე განხორციელდეს.

ქართული ენის სწავლებისადმი მოტივაციის გაზრდის მიზნით, 2024 წელს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდა სახელმწიფო ენის პოპულარიზაციისა და სახელმწიფო ენის სწავლების შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიები. სახელმწიფო მინისტრის აპარატი; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და სხვა შესაბამისი უწყებები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს, რათა ქართული ენის სწავლების მნიშვნელობა უფრო ფართოდ გავრცელდეს.

2024 წლის პროგრესის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლაა. ყველა დონეზე გაძლიერდა ენის სწავლის ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესდა სასწავლო პროგრამები და გაძლიერდა ბილინგვური განათლების მოდელი.

სახელმწიფო ენის სწავლების პოლიტიკა გრძელვადიან პერსპექტივაში რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად, რადგან მისი წარმატება განსაზღვრავს ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან ინტეგრაციას ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამოცანა 1.2. სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში

სახელმწიფო ენის სწავლების პროცესში ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა ნათლად ასახავს ეთნიკური უმცირესობების მზარდ ინტერესსა და სახელმწიფოს მიერ შექმნილი საგანმანათლებლო შესაძლებლობების ეფექტიანობას.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ 2020 წლიდან 2024 წლამდე სახელმწიფო ენის სწავლებაში ჩართული ზრდასრული პირების რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა, რაც მეტყველებს სწავლების ხელმისაწვდომობის, პროგრამების ხარისხის და ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის დინამიურ ზრდაზე:

- 2020 წელი – 2,059 ბენეფიციარი
- 2021 წელი – 3,919 ბენეფიციარი (ზრდა 90% წინა წელთან შედარებით)
- 2022 წელი – 5,123 ბენეფიციარი (ზრდა 30%)
- 2023 წელი – 5,500 ბენეფიციარი (ზრდა 7%)
- 2024 წელი – 5,500 ბენეფიციარი (სტაბილური დონე)

ეს მონაცემები მიუთითებს ენობრივი ინტეგრაციის პროცესის მდგრადობაზე; ამავდროულასდ, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ენის სწავლის პროგრამები უკვე მოიცავს ბენეფიციართა მნიშვნელოვან ჯგუფს. თუმცა, 2024 წლის მონაცემებით, ზრდის ტენდენცია სტაბილურია, რაც შეიძლება იყოს ნიშანი, რომ პროგრამის გაფართოების ახალი მექანიზმები უნდა დაინერგოს, რათა მომდევნო წლებში ენის შესწავლის პროცესში კიდევ უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს.

სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისის „მეგობრობის სახლში“ გადამზადდა 505 ბენეფიციარი, რაც მიუთითებს მიზანმიმართულ და საგრძნობ შედეგებზე ეთნიკური უმცირესობების ზრდასრულ მოსახლეობაში ენის კომპეტენციის ამაღლების კუთხით.

- 2023 წელს გადამზადდა 253 პირი
- 2024 წელს გადამზადდა 252 პირი

ეს შედეგი აჩვენებს, რომ პროგრამა სტაბილურად ფუნქციონირებს და ბენეფიციარების ჩართულობის მაჩვენებელი შენარჩუნებულია.

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა აქტიურად იყენებს მრავალმხრივ მიდგომებს, რათა ენობრივი სწავლების პროცესში ჩართულობა მაქსიმალურად გაიზარდოს:

- საკლასო სწავლების მოდელი – ბენეფიციარებს აქვთ შესაძლებლობა რეგიონული სასწავლო ცენტრების ფარგლებში შეისწავლონ სახელმწიფო ენა.
- დისტანციური სწავლება – თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სწავლა ონლაინ პლატფორმებისა და ვირტუალური საკლასო ოთახების მეშვეობით მიმდინარეობს.
- ჰიბრიდული სწავლება – რაც ზრდის ენის შესწავლის პროცესის მოქნილობასა და ხელმისაწვდომობას.

მობილური ჯგუფების მივლინება – რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის სწავლებას ადგილობრივ დასახლებებში ბენეფიციარების მზარდი რაოდენობა და სწავლების მოდელის გაფართოება ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ენის სწავლების პოლიტიკა მნიშვნელოვან პროგრესს აჩვენებს. თუმცა, სამომავლოდ პროგრამა კიდევ უფრო განვითარდება, სწავლების შესაძლებლობებმა უფრო მეტი ბენეფიციარი მოიცვას.

სახელმწიფო ენის ცოდნა ეთნიკური უმცირესობებისთვის არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. შესაბამისად, მომდევნო წლებში ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, რათა ქართული ენის სწავლება იყოს მდგრადი, ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული.

ამოცანა 2.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა

2024 წლის მონაცემები ადასტურებს, რომ სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებული პირების გადამზადების მაჩვენებელი კვლავ მზარდია. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში 2024 წელს გადამზადდა 283 საჯარო სექტორში დასაქმებული პირი, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფო ენის სწავლების სისტემურ განვითარებას და ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიურ ჩართვას.

ქართული ენის პოპულარიზაციისა და შესწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია სახელწოდებით „ქართული ენა გვაერთიანებს“. აღნიშნული ინიციატივა, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა, მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობის გაძლიერებას, არამედ მისი შესწავლის შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. კამპანია მოიცავდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში - მასშტაბურ საინფორმაციო ღონისძიებებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსახლეობის ჩართულობასა და მოტივაციას.

საინფორმაციო კამპანიის მიმართულებით განსაკუთრებული როლი ითამაშა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ, რომელმაც ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სასწავლო ცენტრებში ჩატარებული საინფორმაციო სესიების მეშვეობით გააცნო სახელმწიფო ენის სწავლის პროგრამები და სერვისები. აღნიშნული დაეხმარა მოსახლეობას, უკეთ გაეაზრებინათ ენის ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის საკუთარი პერსპექტივების კვალდაკვალ.

მთლიანობაში, 2024 წელს საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 2000-ზე მეტმა პირმა, რაც წარმოაჩენს საზოგადოებაში სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროებისა და მოტივაციის მზარდ ტენდენციას. ამ მონაცემების ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებული ენის

სწავლების შესაძლებლობები კიდევ უფრო განვითარდეს და გაფართოვდეს, რათა კიდევ უფრო წარმატებული იყოს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი.

სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი აგრძელებს სახელმწიფო ენის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას – გარე წარწერების სახელმწიფო ენაზე განთავსების მონიტორინგს. 2024 წელს განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არსებული გარე წარწერების მდგომარეობის კვლევა, რაც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის გამოყენების პრაქტიკის შესწავლას და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას. კვლევის ფარგლებში ქ. მარნეულში დამუშავდა 149 ობიექტის მონაცემები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ გარე წარწერების 72.5%-ზე დარღვევა არ არის, ხოლო დარჩენილ შემთხვევაში საჭირო გახდა დამატებითი რეკომენდაციების გაცემა. ანალიზის საფუძველზე, იმ ობიექტებისთვის, სადაც აღმოჩნდა სახელმწიფო ენის გამოყენების სტანდარტების დარღვევები, გაიცა ზეპირი რეკომენდაციები საჯარო და კერძო სივრცეებში ქართული ენის ნორმების დაცვასთან დაკავშირებით.

აღნიშნული მიმართულებით საქმიანობა გაგრძელდება შესაბამისი უწყებების ჩართულობით, რაც გულისხმობს როგორც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის აქტიურ მონიტორინგს, ასევე სხვა პასუხისმგებელი უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების კოორდინირებულ მუშაობას. გარდა ამისა, დაგეგმილია სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამების გაფართოება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას და მისი გამოყენების კულტურის კიდევ უფრო გაძლიერებას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საინფორმაციო - საკონსულტაციო კამპანიებზე, რაც ხელს შეუწყობს ენობრივი ინტეგრაციის გაძლიერებას და ერთიანი სამოქალაქო სივრცის შექმნას.

ამოცანა 3.1. სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა

გაგრძელდა ბილინგვური განათლების სტანდარტების დანერგვა, რაც სახელმწიფო ენის სწავლის პროცესს ადრეული ასაკიდან უწყობს ხელს. 2024-2025 სასწავლო წლისთვის ბილინგვური პროგრამის ფარგლებში ჩართულია 34 სკოლამდელი დაწესებულება, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ათვისების კუთხით.

ბილინგვური განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 2024 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ორენოვანი მასწავლებლების პროფესიული მხარდაჭერა. სისტემატურად ხორციელდებოდა „ქოუჩინგი“, რომლის ფარგლებშიც ყოველკვირეულად მონაწილეობდა 72 ორენოვანი და ადგილობრივი აღმზრდელი. ეს ინიციატივა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების ეფექტიანობის ამაღლებას და პედაგოგიური პროცესის ხარისხობრივ გაუმჯობესებას. ამასთან, ბილინგვური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში 2024 წელს ინკლუზიური და ტექნოლოგიების მიმართულებით ტრენინგ-კურსი გაიარა 70-ზე მეტმა ბილინგვურმა მასწავლებელმა, რაც სასწავლო პროცესში თანამედროვე მიდგომების ინტეგრაციას უწყობს ხელს.

სახელმწიფო ენის შესწავლის პროცესის გასამარტივებლად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ვიზუალურ და სასწავლო მასალებს. სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელებისთვის დაიბეჭდა და დარიგდა შესაბამისი ასაკობრივი და თემატური ბროშურები, ბარათები და პოსტერები, რაც ხელს უწყობს ბავშვების ინტერესისა და მოტივაციის ზრდას.

ბილინგვური განათლების დანერგვის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მაღალკვალიფიციური ორენოვანი პროფესიული რესურსების ნაკლებობა. პედაგოგთა გადამზადებისა და ახალი კადრების მოზიდვისთვის აუცილებელია დამატებითი ინიციატივების განვითარება, რაც მოიცავს სპეციალიზებული სასწავლო კურსების გაძლიერებას, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სისტემურ გაუმჯობესებას და ახალგაზრდა პედაგოგების მოტივაციის ამაღლებას, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ ბილინგვური განათლების პროცესში. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები განსაზღვრავს, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება ბილინგვური განათლების მოდელი და რამდენად შეუწყობს ხელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრულფასოვან ინტეგრაციას განათლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ამოცანა 3.2. ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ 2024-2025 სასწავლო წლისთვის ბილინგვური განათლების პროგრამაში ჩართულია 184 საჯარო სკოლა, რაც ხაზს უსვამს არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად სისტემური მიდგომის კიდევ უფრო გაძლიერებას. აღნიშნულ სკოლებში დაწყებით საფეხურზე სწავლება მიმდინარეობს 5 ძირითად საგანში (მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, სახვითი ხელოვნება, მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო), რაც უმნიშვნელოვანესია ბილინგვური სწავლების პრაქტიკაში განმტკიცებისთვის. პროცესის მხარდაჭერის მიზნით, გადამზადდა 400-მდე ბილინგვური განათლების სპეციალისტი, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის ამაღლებას და მოსწავლეთა სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებას.

ამავე ინდიკატორთან მიმართებით მნიშვნელოვანია მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების სწავლების უზრუნველყოფა. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 12 საჯარო სკოლაში მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს მშობლიური ენების სწავლება (უდიური, ხუნძური, ჩეჩნური, ოსური და ასურული ენები). აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანია კულტურული იდენტობის შენარჩუნების კუთხით. სამომავლოდ იგეგმება არაფორმალური განათლების სისტემის გაძლიერება, ბილინგვური სწავლების განვითარება და თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებას და ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას.

ამოცანა 3.3. ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად

ეთნიკური უმცირესობებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება. 2024 წელს პროფესიულ

სასწავლებლებში ჩაირიცხა 485 არაქართულენოვანი სტუდენტი, რაც კიდევ ერთი ნაბიჯია მათი დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებისა და კარიერული განვითარების ხელშესაწყობად.

პროფესიული განათლებისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო ენის სწავლების ინტეგრირებული კურსის დანერგვამ, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, უკეთ მოერგონ ქართულენოვან საგანმანათლებლო გარემოს და მაქსიმალურად გამოიყენონ მიღებული ცოდნა შრომის ბაზარზე. აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ აუმჯობესებს განათლების ხარისხს, არამედ ამცირებს ენის ბარიერს, რომელიც ხშირად ხდება შრომით ბაზარზე სრულფასოვანი ინტეგრაციის მთავარი დაბრკოლება.

პროფესიული განათლების კიდევ უფრო ხელმისაწვდომი და მოქნილი ფორმით მიწოდებისთვის წარმატებით დაინერგა „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები“ საჯარო სკოლების ბაზაზე. ინიციატივა უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს არაქართულენოვან მოსწავლეებს, მიიღონ პროფესიული განათლება საკუთარ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, რაც ამცირებს ლოჯისტიკურ და ფინანსურ ბარიერებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე უკვე 49 არაქართულენოვან საჯარო სკოლაში ხორციელდება პროფესიული უნარების საორიენტაციო და სასერტიფიკაციო კურსები, რაც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეიძინონ და მომავალში უფრო კონკურენტუნარიანები გახდნენ დასაქმების ბაზარზე.

აღნიშნული ნაბიჯები ცხადყოფს, რომ პროფესიული განათლებისადმი ინტერესი და მისი ხელმისაწვდომობა იზრდება, რაც ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების თვითდასაქმებას, ეკონომიკურ გაძლიერებას და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში მათ უფრო აქტიურ ჩართულობას. სამომავლოდ მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა კიდევ უფრო გაფართოვდეს და მოიცვას დამატებითი რეგიონები და სპეციალობები. აღნიშნული უფრო მეტ ახალგაზრდას მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება და განავითაროს კარიერული შესაძლებლობები.

არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა მხრიდან უმაღლესი განათლების მხარდამჭერი საშეღავათო პოლიტიკისადმი მაღალი ინტერესი კვლავ ნარჩუნდება, რაც ცხადყოფს, რომ "1+4 ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა" წარმატებულად ფუნქციონირებს და მნიშვნელოვანი როლი უკავია ეთნიკური უმცირესობების უმაღლეს განათლებაში ინტეგრაციის პროცესში. 2024 წელს აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო 1577 სტუდენტი, რაც ხაზს უსვამს განათლების პოლიტიკის მდგრადობასა და ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის სისტემურ გაძლიერებას.

პროგრამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აბიტურიენტებს აძლევს შესაძლებლობას, ერთი წლის განმავლობაში ინტენსიურად შეისწავლონ სახელმწიფო ენა, ხოლო შემდეგ ისარგებლონ ყველა იმ საგანმანათლებლო შესაძლებლობით, რასაც ქართულენოვანი უმაღლესი განათლება სთავაზობს. აღნიშნული პოლიტიკა გადამწყვეტი ფაქტორია ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების კარიერული და პროფესიული განვითარებისთვის. პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს, ხელს უწყობს საჯარო და კერძო სექტორში

კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ზოგადად, აძლიერებს ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ აქტიურობას.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მნიშვნელოვან ეტაპზე გადავიდა ეთნიკური უმცირესობებისთვის საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესი. ამ მიმართულებით, „1+4 ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამისა“ და „1+4 სტაჟირების პროგრამის“ შედეგების და მათი გავლენის შესწავლა დაიწყო, რაც მიზნად ისახავს პროგრამების ბენეფიციართა დასაქმების პერსპექტივებისა და განვითარების შესაძლებლობების ანალიზს. აღნიშნული კვლევები მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემს იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანია არსებული პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების პროფესიული და საზოგადოებრივი ინტეგრაციის კუთხით.

საინფორმაციო-ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ქვემო ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში ჩატარდა ფართომასშტაბიანი ორენოვანი კამპანია. შეხვედრების მიზანი იყო სახელმწიფო ენის შესწავლის, უმაღლესი და პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელება. აღნიშნულ კამპანიაში მონაწილეობა მიიღო 2 000-მდე ბენეფიციარმა და სულ ჩატარდა 20-მდე შეხვედრა.

ამ ინიციატივებმა კიდევ ერთხელ გამოავლინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება და სწორი კომუნიკაციის სტრატეგია, რათა ახალგაზრდებმა მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობები. ამასთან, შეხვედრებმა შესაძლებლობა მისცა ადგილობრივ მოსახლეობას, უშუალოდ მიეღოთ პასუხები მათთვის აქტუალურ კითხვებზე და გაეაზრებინათ განათლების მნიშვნელობა კარიერული პერსპექტივების გაფართოებისა და სოციალური მობილობისთვის.

სამომავლოდ, „1+4 საგანმანათლებლო და სტაჟირების პროგრამის“ კვლევის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების უფრო მეტად მტკიცებულებებზე დაფუძნებულად მიღებას, რაც პროგრამების ეფექტიანობას კიდევ უფრო გააუმჯობესებს. შედეგად, პოლიტიკა უფრო მოქნილი და მიზანმიმართული გახდება, რაც ერთდროულად უზრუნველყოფს, როგორც ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებულ სერვისებს, ისე სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმით პროგნოზირებული რისკ-ფაქტორები არ გამოვლენილა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ პროგრამების დაგეგმვა და იმპლემენტაცია მიზანმიმართულად და ეფექტიანად მიმდინარეობს. ამჟამად არსებული მიდგომები ქმნის წინაპირობას, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის საგანმანათლებლო პოლიტიკა კიდევ უფრო შედეგზე ორიენტირებული გახდეს, ხოლო სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესები - მდგრადი და შეუქცევადი.

ამოცანა 4.1. განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (შშმ და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა

ამოცანის პირველ და მეორე ინდიკატორთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბოშა მოზარდებისა და ახალგაზრდების სოციალიზაციისთვის განხორციელდა 6 სასკოლო პროექტი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. აღნიშნული პროექტები მიზნად ისახავს ბოშა თემის წარმომადგენელი ბავშვების განათლებაში ჩართულობის ზრდას და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას, რაც ხელს შეუწყობს მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართულია 286 ბოშა მოსწავლე, რაც მიუთითებს, რომ ბოშა თემის წარმომადგენლების განათლებაში ინტეგრაციის პროცესი პროგრესულად მიმდინარეობს, თუმცა საჭიროებს დამატებით ხელშემწყობ ნაბიჯებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და ბოშათა თემის წარმომადგენელი ბავშვების განათლების სისტემაში ჩართულობის გაძლიერების მიზნით დაგეგმილია დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების სავალდებულო ზოგადი განათლების პროგრამებში ჩართვას და მათი საჭიროებების შესაბამისი დამხმარე სერვისებით უზრუნველყოფას. აღნიშნული ნაბიჯები უზრუნველყოფს როგორც მათი განათლების მიღების ხელმისაწვდომობას, ასევე სოციალიზაციის პროცესის გაძლიერებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ ჯგუფების სრულფასოვანი საზოგადოებრივი ჩართულობისთვის.

ამოცანა 4.2 სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში კულტურული მრავალფეროვნების საკითხები ინტეგრირებულია, რაც ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შექმნილ სასკოლო სახელმძღვანელოებში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეებში კულტურული სენსიტიურობის ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს მრავალფეროვნების პოზიტიურ აღქმას, რაც არსებითად მნიშვნელოვანია მრავალეთნიკური და მრავალკულტურული გარემოს განვითარების კუთხით.

კულტურული მრავალფეროვნების თემები განსაკუთრებული აქცენტით ისწავლება დაწყებით და საბაზო საფეხურზე. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებულია ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საგანში „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ და ხელოვნებაში. აღნიშნული საგნები მოსწავლეებს სთავაზობს ცოდნას სხვადასხვა ეთნოსის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ, რაც ამაღლებს სოციალურ პასუხისმგებლობას, ხელს უწყობს ტოლერანტობის კულტურის ჩამოყალიბებას და ხელს უშლის სტერეოტიპული დამოკიდებულებების გაღრმავებას.

დაგეგმილია, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციის კიდევ უფრო მეტად ხელშეწყობა, რაც გააძლიერებს საზოგადოების ზოგად ცნობიერებას და ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში პროგნოზირებული რისკ-ფაქტორი არ გამოვლენილა, რაც მიუთითებს, რომ კულტურული მრავალფეროვნების საკითხების განათლების სისტემაში ინტეგრაცია სტაბილურად და შეუფერხებლად მიმდინარეობს. აღნიშნული

პროცესის უწყვეტობა უზრუნველყოფს მომავალ თაობებში კულტურულად მგრძნობიარე და ინკლუზიური საზოგადოებრივი გარემოს ჩამოყალიბებას.

ამოცანა 5.1. მმართველობისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის გაძლიერება მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში. არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და საკონსულტაციო მექანიზმების განვითარების/გაძლიერების მიზნით 2024 წელს ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რომლებიც მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებისა და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ.

ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით 2017 წლიდან ფუნქციონირებს ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებთან შექმნილი საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოები. აღნიშნული მექანიზმი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და დისკუსიებში, გამოთქვან მოსაზრებები და მხარი დაუჭირონ რეგიონში განვითარებულ ინიციატივებს. აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაძლიერებას რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობაში მნიშვნელოვანი ინდიკატორია მათი პოლიტიკური ჩართულობის. 2024 წლის მოწვევის პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა 5%-ს შეადგენს, რაც თვითიდენტიფიკაციის პრინციპზეა დაფუძნებული.

ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საკრებულოების შემადგენლობაში მათი წარმომადგენლობა საკმაოდ მაღალია. მაგალითად:

- ახალქალაქის საკრებულოში 35 წევრი ეთნიკური უმცირესობებიდან (სულ 42)
- ახალციხეში – 5 (სულ 38)
- ნინოწმინდაში – 29 (სულ 30)
- მარნეულში – 20 (სულ 33)
- გარდაბანში – 16 (სულ 36)
- დმანისში – 10 (სულ 30)
- ბოლნისში – 15 (სულ 36)
- წალკაში – 11 (სულ 30).

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ-ფაქტორი არ დამდგარა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ პოლიტიკის იმპლემენტაცია შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ამოცანა 5.2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარება

ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში თანასწორი და სრული ჩართულობის უზრუნველსაყოფად ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ 2024 წელს განხორციელდა არაერთი სტრატეგიული ღონისძიება, რომლებიც მიზნად ისახავდა ამომრჩეველთა ინფორმირების, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების გადამზადებისა და საარჩევნო პროცესში ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი მონაწილეობისთვის საჭირო პირობების შექმნას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საარჩევნო დოკუმენტაციისა და საინფორმაციო მასალების მომზადება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და მათი გავრცელება. აღნიშნული უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საარჩევნო პროცესზე წვდომას, რაც ზრდის მათ ინფორმირებულობას, ხსნის ენობრივ ბარიერებს და უზრუნველყოფს თანასწორობის პრინციპის რეალურ განხორციელებას.

გარდა ამისა, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების გადამზადება და სერტიფიცირება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც უზრუნველყოფს, რომ საარჩევნო პროცესში ჩართული პირები სრულად ფლობდნენ საარჩევნო პროცედურებს და შეძლონ საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტიანად შესრულება. საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებისა და კომისიის წევრების ტრენინგის ჩატარება უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალობას და უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობას არა მხოლოდ ამომრჩევლის, არამედ საარჩევნო პროცესის განმახორციელებელი სუბიექტის როლშიც.

ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები. აღნიშნულ შეხვედრებში ყურადღება გამახვილდა საარჩევნო სიახლეებზე და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებაზე. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროექტებისა და ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში მოიცვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული ყველა მუნიციპალიტეტი.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საარჩევნო განვითარების სკოლის განხორციელება მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით 4,424 ახალგაზრდა ჩაერთო, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მონაწილეთა რაოდენობამ 590 შეადგინა. აღნიშნული პროექტი ახალგაზრდებს აწვდის ცოდნას საარჩევნო პროცესებზე, ამაღლებს მათ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს მათი მომავალი პოლიტიკური და სოციალური აქტიურობის ზრდას.

აღნიშნული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის საარჩევნო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა კომპლექსურ მიდგომას ეფუძნება, რომელიც მოიცავს როგორც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, ასევე განათლებასა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებას. ეს არის

გრძელვადიანი ინვესტიცია დემოკრატიული პროცესების გაძლიერებაში, რაც უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების უფრო აქტიურ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში.

ამოცანა 6.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებით, მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით 2024 წელს ეთნიკური უმცირესობების ენებზე ინფორმირების უწყვეტი პროცესი ხორციელდებოდა, როგორც სატელევიზიო ისე ინტერნეტ-მაუწყებლობის მეშვეობით, რაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის გაღრმავებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადებული მასალები ფართოდ ვრცელდებოდა რეგიონული ტელევიზიების მეშვეობითაც, რაც კიდევ უფრო ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და აუდიტორიის მოცვის მაჩვენებელს.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს დაფინანსებით რეგულარულად გამოიცემოდა ყოველკვირეული გაზეთები: სომხურენოვანი „ვრასტანი“ – 50 ნომერი, 3500 ტირაჟით; აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“ – 50 ნომერი, 3000 ტირაჟით. აღნიშნული გამოცემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაძლიერებაში, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სოფლების მოსახლეობისთვის.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ განხორციელდა გაზეთების ეფექტიანობის შეფასების კვლევა, რამაც გამოავლინა საჭიროებები ბეჭდური მედიის შემდგომი განვითარებისა და მისი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. სწორედ ამ შეფასებების საფუძველზე გაზეთების დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მათ საშუალებას აძლევს, გააუმჯობესონ შინაარსობრივი ხარისხი და გააფართოვონ მკითხველთა აუდიტორია.

გარდა ამისა, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პროაქტიული მიდგომის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა კანონმდებლობაზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნილი და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე განთავსებულია 52-მდე საკანონმდებლო აქტი, რაც უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სამართლებრივი ინფორმაციის პირდაპირი და მარტივი გზით მიწოდებას.

აღნიშნული აქტივობები ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემურ გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. მათი გრძელვადიანი ზეგავლენა გამოიხატება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკური უმცირესობების უფრო აქტიურ ჩართულობაში, სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებასა და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის ზრდაში.

სამომავლოდ, საჭიროა ამ მიმართულების კიდევ უფრო გაძლიერება, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებისთვის ციფრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მედიის მრავალფეროვნების ზრდა და საკანონმდებლო აქტების თარგმნისა და განთავსების უწყვეტი პროცესი.

მეორე ინდიკატორთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქტიურად უზრუნველყოფს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

ამ მიმართულებით პენიტენციურ დაწესებულებებში ფუნქციონირებს 22 სატელევიზიო არხი, რომლებიც ხელმისაწვდომია 6 უცხოურ ენაზე: რუსული, ინგლისური, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, არაბული. გარდა ამისა, არაქართულენოვან მსჯავრდებულთათვის სისტემურად მიმდინარეობს ბეჭდური მედიის მიწოდება. საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში გადანაწილდა 2 480 ერთეული, ხოლო 2023-2024 წლებში 3 280 ერთეული სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი. აღნიშნული მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინფორმირების კუთხით, არამედ მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სოციალური რეინტეგრაციის კუთხით.

სამომავლოდ, ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიურ ენაზე მაუწყებელი სატელევიზიო არხების, ისევე როგორც ბეჭდური მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კვლავ დარჩება პრიორიტეტულ მიმართულებად. გაგრძელდება სომხურენოვანი „ვრასტანის“ და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანის“ ფინანსური მხარდაჭერა.

ამოცანა 6.2 მედია წიგნიერების განვითარების მხარდაჭერა

ამოცანის პირველ და მეორე ინდიკატორთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში გაიმართა ტრენინგ-სემინარი „სამოქალაქო ინტეგრაციის სკოლა“. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის განათლების, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით. პროექტის ფარგლებში სამიზნე ჯგუფებისთვის ჩატარდა 3 ტრენინგ-სემინარი, თითოეული 3 დღიანი ხანგრძლივობით, რომლებშიც 70-მდე ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა. ტრენინგების მსვლელობისას მონაწილეებმა ამომწურავი და დეტალური ინფორმაცია მიიღეს სახელმწიფოს მიერ ეთნიკური უმცირესობებისთვის დანერგილი მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ, რაც დაეხმარება მათ საზოგადოებრივ და პროფესიულ განვითარებაში. ამასთან, შეხვედრები მოიცავდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია; საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია; მედია-წიგნიერება; ახალგაზრდული ლიდერობა და მისი როლი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში; ქალთა უფლებები და თავისუფლებები, გენდერული თანასწორობა და სხვა.

სამომავლოდ, მედიაწიგნიერების მხარდაჭერისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობების განხორციელება. გაგრძელდება ტრენინგ-სემინარების განხორციელება. აღნიშნული ღონისძიებების გრძელვადიანი გავლენა გამოიხატება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების უფრო აქტიურ ჩართულობაში სამოქალაქო და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ამოცანა 7.1 სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკისა და ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რომლებიც მიზნად ისახავდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გაძლიერების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში 2024 წლის განმავლობაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის 173 თანამშრომელი გადამზადდა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ უნივერსალური ტრენინგის ფარგლებში. აღნიშნული ნაბიჯი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავ სისტემაში თანასწორობის პრინციპების გაძლიერებისთვის და უზრუნველყოფს, რომ პენიტენციური სისტემის თანამშრომლები ფლობდნენ სათანადო ცოდნასა და ინსტრუმენტებს დისკრიმინაციის პრევენციისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

გარდა ამისა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში აქტიურად ჩაერთო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. აღნიშნული ორგანოს წევრი უწყებების ორგანიზებით 2024 წელს გაიმართა 41 საინფორმაციო შეხვედრა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საზოგადოებრივი ცნობიერების დონეს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე. შეხვედრებიდან 5 უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ჩატარდა (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი), სადაც 112 ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა.

ქალთა გაძლიერებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მათი მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში გაიმართა ტრენინგ-სემინარი „ქალთა მონაწილეობის გაძლიერება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში“. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობდნენ ქალები და ახალგაზრდები, ასევე ადგილზე დასაქმებული სოციალური მუშაკები და ექიმები. საერთო ჯამში, პროექტის ბენეფიციარი 30 ადამიანი გახდა. ტრენინგი 3 დღის განმავლობაში გაგრძელდა და მონაწილეებმა ცნობიერება აიმაღლეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია; მედიაწიგნიერება, დეზინფორმაცია და პროპაგანდა და სხვა; აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და ახალგაზრდების საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართვის კუთხით , რაც არამხოლოდ პიროვნულ გაძლიერებას, არამედ მათი თემების სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებასაც უწყობს ხელს. სამომავლოდ მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ღონისძიებები გაფართოვდეს, ჩატარდეს უფრო ფართო აუდიტორიისთვის და მოიცვას მეტი ბენეფიციარი.

ამოცანის მეორე ინდიკატორთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა და სახელმწიფო პროგრამებზე და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა მრავალკომპონენტიანი საინფორმაციო კამპანიები კარდაკარ ფორმატში. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და კოორდინირებით ჩატარდა სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები. გაიმართა ჯამში 60-მდე შეხვედრა, რომლებმაც მოიცვა ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები (მარნეული, გარდაბანი, დმანისი, ბოლნისი, თეთრიწყარო, წალკა, საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე, ასპინძა) და 3000-მდე ადგილობრივ მოსახლეს მიეწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო, სოციალური, ჯანდაცვის, ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის, იურიდიული დახმარებისა და სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ. აღნიშნული უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების უკეთ ინფორმირებას და მათ მიერ სახელმწიფო სერვისების გამოყენების შესაძლებლობების ზრდას.

გარდა ამისა, საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება სსიპ-ის საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ ორგანიზებულ იქნა 50 საინფორმაციო ღონისძიება, რომელშიც 2000-მდე მოქალაქე მონაწილეობდა. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა ქ. თბილისში, ასევე სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ლოკაციებზე.

სამომავლოდ დაგეგმილია სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების, ასევე სხვადასხვა აქტუალური საკითხების, მათ შორის: სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია, ადამიანის უფლებები, მედიაწიგნიერება, დეზინფორმაციასთან ბრძოლა, ტრეფიკინგი, გენდერული თანასწორობა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, შესახებ საინფორმაციო კამპანიებისა და შეხვედრების ჩატარება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირებულობას და გააუმჯობესებს ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამოცანა 7. 2 მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებით, რომელიც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ეროვნულ სასამართლოებსა და სამართალდამცავ ორგანოებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, აღინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ პენიტენციურ დაწესებულებებში მიღება-განთავსებისას უზრუნველყოფილია სათარჯიმნო

მომსახურების გამოყენებით. აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი და ადეკვატური სამართლებრივი პროცედურების დაცვას. კერძოდ:

- სათარჯიმნო მომსახურება მოიცავს 28 ენაზე წერით და 29 ენაზე ზეპირ თარგმანს, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულია "ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ბროშურები" და მათი აუდიო ვერსიები CD (კომპაქტ) დისკებზე, ხელმისაწვდომი ქართულ და 6 უცხო ენაზე, მათ შორის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე;
- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში საინფორმაციო დაფებზე განთავსებულია ინფორმაცია ბროშურების ხელმისაწვდომობის შესახებ 7 ენაზე, ხოლო ბროშურები განთავსებულია დაწესებულებების ბიბლიოთეკებში;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თემატიკაზე გადამზადდა: 521 მსმენელი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის 316 თანამშრომელი და სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ 50-მდე თანამშრომელი.

აღნიშნული ტრენინგები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კომპეტენციას დისკრიმინაციულ დანაშაულებთან გამკლავების საკითხში.

მართლმსაჯულების სისტემასა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით გაგრძელდება პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული ინიციატივები მიმართული იქნება არა მხოლოდ სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაძლიერებაზე, არამედ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გრძელვადიანი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა მართლმსაჯულების სისტემა გახდეს უფრო ინკლუზიური და ადაპტირებული მრავალეთნიკურ გარემოში.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ-ფაქტორი არ დამდგარა, რაც მიუთითებს, რომ სისტემური მიდგომა და გაწერილი მექანიზმები წარმატებით ხორციელდება და უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას საქართველოში.

ამოცანა 8.1 სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანის პირველ ინდიკატორთან შესაბამისობაში, საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა აქტუალურ და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. აღნიშნული პროცესები სახელმწიფოს სტრატეგიული მიდგომის ნაწილია, რომელიც

მიმართულია ეთნიკური უმცირესობების სოციალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო ინტეგრაციის გაძლიერებისკენ.

სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში საექსტენციო და საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 1 788 ფიზიკურ და იურიდიულ პირს. აღნიშნული მომსახურების ფარგლებში ჩატარდა 368 შეხვედრა, რაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აძლევს შესაძლებლობას, უშუალოდ მიიღონ დეტალური ინფორმაცია მათთვის აქტუალურ სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე.

გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და კოორდინირებით, განხორციელდა უპრეცედენტოდ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ ეთნიკური უმცირესობების მაქსიმალურ ინფორმირებას. 2024 წლის განმავლობაში გამართული 60-მდე შეხვედრა მოიცავდა 170-მდე სოფელს, სადაც 3000-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო ინფორმაცია სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის: საგანმანათლებლო შესაძლებლობები (უმაღლესი და პროფესიული განათლება, სახელმწიფო გრანტები და სტიპენდიები); სოციალური და ჯანდაცვის სერვისები (საყოველთაო ჯანდაცვა, სოციალური დახმარების პროგრამები); ეკონომიკური პროგრამები (სახელმწიფოს მიერ ბიზნესსა და სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ინიციატივები); იურიდიული დახმარება და სხვა, რაც ეთნიკური უმცირესობებისთვის სამართლებრივი ინფორმაციისა და უფასო იურიდიული კონსულტაციების მიღების შესაძლებლობას ზრდის.

საინფორმაციო კამპანიები მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებში ეფექტიან ჩართულობას და მნიშვნელოვანი წინაპირობა და ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მათი სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში.

სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამის დარგობრივ უწყებებთან თანამშრომლობით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა 30-ზე მეტი საინფორმაციო და საცნობარო მასალა. ეთნიკური უმცირესობების ენებზე ხელმისაწვდომია სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდიც, რაც არაქართულენოვან მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ ინფორმაცია მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და სოციალური დაცვის პროგრამების შესახებ.

ამოცანის მეორე ინდიკატორთან მიმართებით აღინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი სოციალური მხარდაჭერის სისტემის ეფექტიანობის ზრდისა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სოციალური დახმარების პროგრამების ხელმისაწვდომობის კუთხით.

მიმდინარე მონაცემებით, საარსებო შემწეობისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: სამცხე-ჯავახეთში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 3 185-ს, ქვემო ქართლში - 21 908-ს. პენსიის მიმღებთა მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში 35 179-ს შეადგენს, ხოლო ქვემო ქართლში - 87 716-ს. სოციალური პაკეტის მიმღებები სამცხე-ჯავახეთში 6 724-ს შეადგენს, ქვემო ქართლში – 16 120-ს. აღნიშნული სტატისტიკა მიუთითებს, რომ

სოციალური დაცვის მექანიზმები ეფექტიანად ფუნქციონირებს რეგიონებში და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ სოციალური მხარდაჭერის პროგრამებზე წვდომა.

რაც შეეხება მესამე ინდიკატორის შესრულებას, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ბიზნეს აქტივობის მაჩვენებლები დადებითი დინამიკით გამოირჩევა:

- სამცხე-ჯავახეთში აქტიური (მოქმედი) სტატუსის მქონე ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა 10 706-ს შეადგენს;
- ქვემო ქართლში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა 20 157-ს აღწევს.

ეს მონაცემები მიუთითებს რეგიონებში ეკონომიკური საქმიანობის ზრდაზე და ადგილობრივ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე.

ამოცანის მეოთხე ინდიკატორის შესრულების პროცესში აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში საერთაშორისო და შიდა ვიზიტების რაოდენობა მზარდი ტენდენციით გამოირჩევა:

- ქვემო ქართლში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 2024 წლის განმავლობაში, 536,770-ს მიაღწია, ხოლო შიდა ტურისტების რაოდენობამ – 1,518,730 -ს;
- კახეთში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 407,377 -ს შეადგენს, შიდა ტურისტების კი – 1,614,021 -ს;
- სამცხე-ჯავახეთში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 597,359 -ს, ხოლო შიდა ვიზიტორების რაოდენობამ 839,439 -ს მიაღწია.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ რეგიონებში ტურიზმი ვითარდება, როგორც საერთაშორისო ისე შიდა ბაზარზე, რაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური შესაძლებლობაა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ტურიზმის ზრდა ხელს უწყობს ბიზნესის გაფართოებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების გაჩენას. ამ აქტივობების შესრულების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ-ფაქტორები არ დამდგარა, რაც მიუთითებს, რომ სოციალური, ეკონომიკური და ტურისტული პროგრამები წარმატებით მიმდინარეობს.

ამოცანის მეხუთე ინდიკატორთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცირე მეწარმეობისა და ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის გაძლიერების ერთ-ერთი მექანიზმია, 2024 წლისთვის დაფინანსებულია 1082 ბენეფიციარი კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. აღნიშნული პროექტები დამატებით ეკონომიკურ შესაძლებლობებს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას და უწყობს ხელს მცირე ბიზნესის განვითარებას. მსგავსი ტიპის პროგრამები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობის წინაპირობაა, რამდენადაც აძლიერებს ადგილობრივ მეწარმეებს, ქმნის თვითდასაქმების ახალ

შესაძლებლობებს და ამავდროულად, ამცირებს სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულებას.

სამომავლოდ, დაგეგმილია შესაბამისი სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების არეალის გაფართოება, რაც ეთნიკური უმცირესობებისთვის ეკონომიკური პროგრამებისა და ბიზნესის ხელშეწყობის მექანიზმებზე წვდომას კიდევ უფრო გააუმჯობესებს. მოსახლეობასთან და ადგილობრივ ფერმერებთან გაიმართება საექსტენციო-საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრები, რომლებიც შეეხება სოფლის მეურნეობის პროგრამებსა და სერვისებს. გაგრძელდება მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც ადგილობრივ ბიზნესს დამატებით ბენეფიციარების მოზიდვის შესაძლებლობას მისცემს. დაგეგმილია არა მხოლოდ ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა, არამედ ეთნიკური უმცირესობებისთვის საკონსულტაციო და საგანმანათლებლო მხარდაჭერის გაწევა, რაც მათ საშუალებას მისცემს, უფრო ეფექტიანად მართონ თავიანთი მცირე ბიზნესები და სრულფასოვნად ჩაერთონ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

აღნიშნული აქტივობების გრძელვადიანი შედეგი გამოიხატება იმაში, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

ამოცანა 8.2 ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებაში, რომელიც ეხება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაზიფიცირებული მოსახლეობის მაჩვენებელს, 2024 წლის განმავლობაში შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი. გაზიფიცირების პროცესის ფარგლებში, სამუშაოები დასრულდა 1485 პოტენციური აბონენტის დასაკავშირებლად, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ენერგეტიკულ უზრუნველყოფას და საცხოვრებელი პირობების ხარისხს.

რეგიონების სტატისტიკა შემდეგნაირად ნაწილდება:

- კახეთის რეგიონში გაზიფიცირებულია 4 დასახლებული პუნქტი, რაც მოიცავს 172 პოტენციურ აბონენტს;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გაზიფიცირებულია 12 დასახლებული პუნქტი, 908 პოტენციური აბონენტით, რაც ყველაზე მასშტაბური გაფართოებაა;
- ქვემო ქართლის რეგიონში სამუშაოები დასრულდა 3 დასახლებულ პუნქტში, რაც მოიცავს 405 პოტენციურ აბონენტს.

აღნიშნული ინვესტიცია მნიშვნელოვანია რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. გაზიფიცირების მაჩვენებლის ზრდა არა მხოლოდ ამაღლებს ცხოვრების ხარისხს და კომფორტს, არამედ ქმნის დამატებით შესაძლებლობებს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმების ზრდას.

სამომავლოდ, მნიშვნელოვანია, რომ გაზიფიცირების პროექტების დაგეგმვა განხორციელდეს გრძელვადიან პერსპექტივაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებული დასახლებების სრულფასოვანი ინტეგრაცია ენერგოსისტემაში და ყველა მოქალაქეს ჰქონდეს თანაბარი წვდომა ბუნებრივ აირზე.

ამოცანის მესამე ინდიკატორთან მიმართებაში, რომელიც ეხება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სასტუმროების რაოდენობის მაჩვენებლის ზრდას, ინფორმაცია 2025 წლის აგვისტოში გახდება ხელმისაწვდომი. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ტურიზმის განვითარების დინამიკის გასაანალიზებლად, რადგან სასტუმროების რაოდენობის ზრდა პირდაპირ ასახავს ტურისტული სექტორის განვითარების ტენდენციებს, კერძო ინვესტიციების აქტიურობას და რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს.

გრძელვადიანი პერსპექტივისთვის აუცილებელია, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სასტუმროების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მოხდეს კომპლექსურად – დაიგეგმოს რეგიონის ტურისტული მარშრუტების გაფართოება, განხორციელდეს მეტი ინვესტიციის მოზიდვა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ტურისტულ აქტივობას რეგიონებში.

ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში განხორციელდა მასშტაბური პროექტები; სამივე რეგიონის მასშტაბით პროექტების საერთო ღირებულებამ 123 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მიუთითებს რეგიონული განვითარებისკენ მიმართული სტრატეგიული მიდგომის წარმატებაზე.

2024 წლის ძირითადი ინფრასტრუქტურული მიღწევები:

- საავტომობილო გზებისა და ხიდების განვითარება
    - 2024 წელს დასრულდა 94 კმ. გზისა და 2 ხიდის რეაბილიტაცია/მშენებლობა, რომლის საერთო ღირებულება 64 მილიონ ლარს აღემატება;
    - 2023-2024 წლებში მთლიანობაში რეაბილიტირდა/აშენდა 191 კმ. გზა და 6 ხიდი, მთლიანობაში 117.1 მილიონი ლარის ინვესტიციით.

აღნიშნული პროექტები აუმჯობესებს რეგიონების კავშირებს, ამცირებს გადაადგილების ხარჯებს და ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის ზრდას.

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის განვითარება:
    - 2024 წელს დასრულდა წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა/რეაბილიტაციის 18 პროექტი, საერთო ღირებულებით 46.1 მილიონ ლარზე მეტი.
    - 2023-2024 წლებში მთლიანობაში განხორციელდა 35 წყალმომარაგების პროექტი, რომლის საერთო ღირებულება 59.8 მილიონ ლარს აღემატება.

წყალმომარაგების გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა რეგიონებში, სადაც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შედეგად იზრდება სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა და ცხოვრების პირობები.

- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება:
    - 2023-2024 წლებში რეაბილიტირდა/აშენდა 5 საჯარო სკოლა, საერთო ღირებულებით 12 მილიონ ლარზე მეტი.
    - 2023-2024 წელს დასრულდა 9 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია/მშენებლობა, რომლის ღირებულება 9.2 მილიონ ლარზე მეტი.

აღნიშნული ინვესტიციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად.

- კულტურული, ტურისტული და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება:
    - 2023-2024 წლებში დასრულდა კულტურული/ტურისტული/სარეკრეაციო ობიექტის რეაბილიტაციის 14 პროექტი საერთო ღირებულებით დაახლოებით 66.3 მლნ. ლარზე მეტი.

პროექტები ხელს უწყობს რეგიონებში ტურისტული პოტენციალის გაძლიერებას, რაც პირდაპირ აისახება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმების ზრდაზე.

ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში გაგრძელდება: მოსახლეობის გაზიფიცირების პროცესი, საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია, წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა და განახლება, სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობა, კულტურული, ტურისტული და სარეკრეაციო ობიექტების განვითარება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ცხოვრების ხარისხს. შედეგად, გაუმჯობესდება საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, გაიზრდება ეკონომიკური შესაძლებლობები, განვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილება უფრო კომფორტული და უსაფრთხო გახდება.

ამოცანა 8.3 ქალებისა და ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა (ახალგაზრდული პროგრამები, "1+4 სტაჟირება", ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა)

ამოცანის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ინდიკატორებთან მიმართებაში, რომელიც ეხება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მიკროგრანტების ფარგლებში დაფინანსებული ახალგაზრდებისა და ქალების რაოდენობას, 2024 წლისთვის კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მიკროგრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 383 ახალგაზრდა და 469 ქალი, რაც ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროგრამები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალგაზრდებისა და ქალების დასაქმებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაზე. გარდა ამისა, მიმდინარე წლისთვის აღნიშნულ რეგიონებში ქალებზე

გაცემული გრანტების საერთო მოცულობამ შეადგინა 7.984.408.12 ლარი, ხოლო ახალგაზრდებზე – 6.952.600.77 ლარი. აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერა დამატებით მოტივაციას უქმნის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ჩაერთონ მცირე და საშუალო ბიზნესში, შექმნან სტაბილური შემოსავლის წყაროები და რეგიონებში განავითარონ მეწარმეობა.

სახელმწიფოს მხრიდან ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული პროგრამები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ისინი ხელს უწყობენ ქალების ფინანსურ დამოუკიდებლობას, ზრდიან მათ ეკონომიკურ ჩართულობას და ამცირებენ სიღარიბის რისკებს. ამავე დროს, ახალგაზრდებზე მიმართული ინვესტიციები უზრუნველყოფს ახალი ინოვაციური იდეებისა და სტარტაპების დაფინანსებას, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის და ხელს უწყობს რეგიონული ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

სამომავლოდ, დაგეგმილია სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პროგრამების კიდევ უფრო გაფართოება, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მეწარმეობისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და სამიზნე ჯგუფებისთვის საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზებას, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროგრამების ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და სოციალური ინტეგრაციის გაღრმავებას.

ამოცანის მეხუთე ინდიკატორთან მიმართებაში შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი, რაც უკავშირდება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განათლების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობას. წლის განმავლობაში ახალგაზრდებს რეგულარულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების შესახებ, რაც მოიცავს განათლების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებული პროგრამებისა და შესაძლებლობების გაცნობას.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით გრძელდება „1+4 სტაჟირების პროგრამის“ განხორციელება, რომელიც 2017 წლიდან ფუნქციონირებს და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, საჯარო სექტორში პროფესიული გამოცდილება მიიღონ. აღნიშნული პროგრამით დღემდე 400-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა სტაჟირება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში. 2024 წლიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სტაჟირება გახდა ანაზღაურებადი, რაც დამატებითი სტიმულია ახალგაზრდებისთვის, რომ პროგრამაში აქტიურად ჩაერთონ და საკუთარი კარიერული უნარ-ჩვევები განავითარონ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, როგორც „1+4 სტაჟირების პროგრამის“ მაკოორდინირებელი უწყება, პროგრამის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეგულარულად ახორციელებს კვლევებსა და საჭიროებების ანალიზს. 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ

რეგიონების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საშეღავათო პოლიტიკის (ე.წ. „1+4 ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამისა“ და „1+4 სტაჟირების პროგრამის“) შედეგებისა და ზეგავლენის შესწავლა. კვლევის მიზანია გაანალიზდეს, რამდენად ეფექტიანია აღნიშნული პროგრამები ახალგაზრდების დასაქმებისა და შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით. ეს პროცესი ხელს შეუწყობს პროგრამის გაუმჯობესებას, კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობას.

დაგეგმილია აღნიშნული პროგრამების გაფართოება და მათი კიდევ უფრო მეტად ადაპტირება ბენეფიციარების საჭიროებებზე. პარალელურად, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდება მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებსა და ქალებს ჩაუტარდებათ ტრენინგები ბიზნესის მართვის, ფინანსური დაგეგმარებისა და მეწარმეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით.

აღნიშნული პროცესები ეტაპობრივად ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მათ ჩართულობას შრომის ბაზარზე და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაზრდას.

ამოცანა 8.4 ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის მცირე ეთნოსების პერსონალური მონაცემების დაცვისა და თვითიდენტიფიცირების საფუძველზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ გრძელდება დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, რაც მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და მათი უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის კუთხით.

2023 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი) შორის გაფორმდა ახალი მემორანდუმი, რომელიც სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და გავრცელების პროცესს კიდევ უფრო მეტად ამყარებს და ხდის გამჭვირვალეს. აღნიშნულ მემორანდუმში გაიწერა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატიც, რაც დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების პროცესს კიდევ უფრო აძლიერებს და უწყებებს შორის კოორდინაციის მექანიზმებს აუმჯობესებს.

დისკრიმინაციული ნიშნით, ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა ოფიციალურად გამოქვეყნდა 2024 წლის მარტში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე. აღნიშნული მონაცემები ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოებას, მკვლევრებსა და შესაბამის უწყებებს ჰქონდეთ ინფორმაცია მსგავსი დანაშაულების მასშტაბისა და დინამიკის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკის წარმოებას, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ეთნიკური უმცირესობების დაცვის მექანიზმების გაძლიერების კუთხით.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ-ფაქტორი არ დამდგარა, რაც მიუთითებს, რომ სტრატეგიის განხორციელება შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს და დისკრიმინაციული დანაშაულების წინააღმდეგ სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები კიდევ უფრო ძლიერდება.

ამოცანა 9.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდა ორი ობიექტის (მეჩეთი) სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელოვანია ქვეყნის მრავალეთნიკური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების კუთხით. ეთნიკური უმცირესობების რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა და მოვლა ხელს უწყობს მათ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ჩართვას.

ამოცანის მეორე ინდიკატორთან მიმართებაში, ეთნიკური უმცირესობების კულტურის მხარდაჭერა სახელმწიფოს პრიორიტეტად რჩება, რაც აისახება თეატრებისა და მუზეუმების ფინანსურ მხარდაჭერაში. აღნიშნული მექანიზმი ძალიან მნიშვნელოვანია კულტურული მრავალფეროვნების დაცვის, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ცხოვრების აქტიურობის უზრუნველყოფისა და მათი ფართო საზოგადოებისათვის წარმოჩენის კუთხით.

2024 წელს უზრუნველყოფილი იყო თეატრებისა და მუზეუმების მხარდაჭერა. კერძოდ:

- სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი – 312 000 ლარი;
- სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი – 689 000 ლარი;
- სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი – 1 250 000 ლარი;
- სსიპ სმირნოვების მუზეუმი – 70 168 ლარი;
- სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი – 142 000 ლარი;
- სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი – 62 000 ლარი

კულტურულ მემკვიდრეობასა, თეატრებისა და მუზეუმების დაფინანსების კუთხით განხორციელებული საქმიანობა ეთნიკური უმცირესობებისთვის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია. აღნიშნული მხარდაჭერა არამარტო ეხმარება

კულტურული ორგანიზაციებისა და მუზეუმების ფუნქციონირებას, არამედ მათ შესაძლებლობას აძლევს, განახორციელონ ახალი პროექტები, მხარი დაუჭირონ ახალგაზრდა შემოქმედებს და კულტურული ინკლუზიურობის პროცესში უფრო მეტი ბენეფიციარი ჩართონ.

დაგეგმილია კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების კულტურული სივრცის კიდევ უფრო ინტენსიურ განვითარებას და კულტურული დიპლომატიის გაძლიერებას საქართველოს შიგნით და საერთაშორისო დონეზე.

ამავდროულად, გაგრძელდება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, წარმოჩენასა და პოპულარიზაციაზე ორიენტირებული აქტივობები. ეთნიკური მრავალფეროვნების წარმოჩენასა და კულტურული დიალოგის გაღრმავების მიზნით გაგრძელდება თეატრებისა და მუზეუმების მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის მდგრადობას და კულტურული პროგრამების განვითარებას.

აღნიშნული ინიციატივები წვლილს შეიტანს საქართველოს ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების განმტკიცებაში, ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციას და გააძლიერებს კულტურათაშორის დიალოგს.

ამოცანა 9.2 კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა (მულტიკულტურული და ინტერკულტურული აქტივობები, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ეთნიკური ფოლკლორის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია)

ამოცანის პირველ და მეორე ინდიკატორებთან მიმართებაში, კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ინფორმირების გაძლიერებისა და კულტურათაშორისი დიალოგის გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნულმა უწყებამ აქტიურად განახორციელა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათი ისტორიისა და იდენტობის შენარჩუნებას და განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას.

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სხვადასხვა პროექტის ფარგლებში განხორციელდა 30-ზე მეტი ღონისძიება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კულტურათაშორისი დიალოგის გაძლიერებას, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობას და ეთნიკური ჯგუფების ხელოვნების პოპულარიზაციას. აღსანიშნავია, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთისა (ახალქალაქი) და ქვემო ქართლის (მარნეული) რეგიონებში განხორციელდა მასშტაბური ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უფრო აქტიურად ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენა ქვეყნის ერთიანობის კონტექსტში.

გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) აღინიშნა სახალხო დღესასწაულები, ასევე 570-

მდე კულტურული ხასიათის ღონისძიება, რომელშიც 63 500-ზე მეტი ბენეფიციარი ჩაერთო.

სამომავლოდ დაგეგმილია აღნიშნული აქტივობების კიდევ უფრო გაფართოება, რაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ეთნიკური ჯგუფების აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მათი კულტურული თვითმყოფადობის გასამყარებლად და საერთო საზოგადოებრივი ცხოვრების გაძლიერებისთვის.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმით მოსალოდნელი რისკ-ფაქტორი არ დამდგარა, რაც მიუთითებს, რომ ინიციატივები ეფექტიანად მიმდინარეობს და ეთნიკური უმცირესობების კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის კუთხით სახელმწიფო პოლიტიკა წარმატებით ხორციელდება.

ამოცანა 9.3 მასობრივი ინტერკულტურული სპორტისა და მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა და შესაბამისი სივრცეების/ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში აქტიურად მიმდინარეობდა სპორტული ღონისძიებების გამართვა, რაც ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის წახალისებასთან ერთად, სპორტის მეშვეობით მათი ინტეგრაციის მნიშვნელოვან მექანიზმად გვევლინება, აყალიბებს გუნდურ სულისკვეთებასა და ხელს უწყობს კონკურენტული უნარების განვითარებას.

საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ განხორციელდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024-25 წლის მუნიციპალური თამაშები, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სკოლების მოსწავლეები. აღნიშნული ინიციატივა ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართვის მნიშვნელოვანი პლატფორმაა, რომელიც აძლიერებს მათ მოტივაციას, თვითრწმენას და ურთიერთობებს თანატოლებთან.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდულ ბანაკებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვას. წლის განმავლობაში, ჯამში, 6700-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ ბანაკებში. საბანაკე პროგრამების განახლება მონაწილეთა ინტერესებისა და ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად მოხდა, რაც უფრო მეტად მოერგო ბენეფიციართა საჭიროებებს და მათ აქტიურ ჩართულობას შეუწყო ხელი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა 4 საბანაკე პროგრამა, რაც ახალგაზრდებს ახალი უნარების შეძენის, გუნდური მუშაობისა და ლიდერობის განვითარებაში დაეხმარა.

ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში მასშტაბური სპორტული ღონისძიებები გაიმართა. კერძოდ: სამცხე-ჯავახეთში 419 სპორტული ღონისძიება გაიმართა, რომელშიც 15 000-მდე ბენეფიციარი ჩაერთო. ქვემო ქართლში 26 სპორტული ღონისძიება ჩატარდა, სადაც 3 500-ზე მეტმა მონაწილემ მიიღო მონაწილეობა. კახეთში 25 სპორტული ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც 1 500-მდე ბენეფიციარი ჩაერთო.

სპორტის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალგაზრდების სოციალიზაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.

დაგეგმილია აღნიშნული ინიციატივების გაგრძელება და გაფართოება. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სპორტული აქტივობებისა და შეჯიბრებების გამართვა კვლავ პრიორიტეტად რჩება, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა კულტურული და ენობრივი ჯგუფების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ-ფაქტორი არ დამდგარა, რაც მიუთითებს, რომ სპორტისა და ახალგაზრდული აქტივობების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა სტაბილურად ხორციელდება და ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდების ჩართულობის მზარდი ტენდენცია შეინიშნება.

შეჯამება და გამოწვევები

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში 2024 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში. სტრატეგიის მიზნები ეფუძნება სამოქალაქო თანასწორობის პრინციპს და ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობას, რაც სხვადასხვა სფეროში კონკრეტული შედეგებით გამოვლინდა.

სახელმწიფო ენის ცოდნის გაღრმავების მიმართულებით მკვეთრად გაიზარდა, როგორც სკოლამდელი და სასკოლო ისე პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპზე სახელმწიფო ენის სწავლების შესაძლებლობები. ბილინგვური განათლების პროგრამის გაფართოებამ და „1+4 საგანმანათლებლო პროგრამამ“ ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის განათლებაზე წვდომის გაუმჯობესებას. გაიზარდა ბილინგვური განათლების მოდელში ჩართული სკოლების რაოდენობა, ხოლო ზრდასრულთა განათლების კუთხით 5500-ზე მეტმა მოქალაქემ გაიარა სახელმწიფო ენის შესწავლის კურსები. ყოველივე აღნიშნული, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა, რაც პირდაპირ აისახება, როგორც განათლების მიღების ხარისხზე, ისე შრომის ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბილინგვური განათლების სისტემა ეტაპობრივად ვითარდება, კვლავ არსებობს მასწავლებელთა გადამზადების, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების და ენის ცოდნის გავრცელებისთვის დამატებითი მექანიზმების გაძლიერების საჭიროება.

განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით არაქართულენოვან სკოლებში სწავლის ხარისხის ამაღლებისთვის გადადგმული ნაბიჯები მნიშვნელოვან შედეგს იძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, სახელმძღვანელოების თარგმნა და პროფესიული განათლების პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ზრდა ნათლად ასახავს სახელმწიფოს ძალისხმევას. თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება

უმაღლესი განათლების დასრულების შემდეგ ეთნიკური უმცირესობების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და პროფესიული განათლების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის საჭიროება. აუცილებელია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ჰქონდეთ მეტი პრაქტიკული შესაძლებლობა, რაც მათ პროფესიულ და უმაღლეს განათლებას რეალური დასაქმების პერსპექტივად აქცევს.

სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობისა და საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერებისთვის. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად უზრუნველყოფილი იყო ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში თანაბარი ჩართვა, მათთვის ხელმისაწვდომი იყო შესაბამისი დოკუმენტაცია მშობლიურ ენაზე, ხოლო თვითმმართველობის დონეზე საკონსულტაციო საბჭოების ფუნქციონირება ახალ შესაძლებლობებს ქმნის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის გასაძლიერებლად. მიღება ცენტრალურ დონეზე.

სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით არსებული პროგრამები საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ისარგებლონ მიკრო და მცირე მეწარმეობის პროგრამებით, ასევე სოციალური დახმარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სერვისებით. 2024 წელს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში 1000-ზე მეტი ბენეფიციარი გახდა მიკრო გრანტების პროგრამის მონაწილე, თუმცა კვლავ არსებობს საჭიროება, რომ გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა სხვადასხვა ეკონომიკურ პროგრამებში.

კულტურათაშორისი დიალოგის გაძლიერება სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, სახელმწიფო მხარს უჭერს აზერბაიჯანული, სომხური, რუსული და სხვა ეთნიკური უმცირესობების თეატრებსა და მუზეუმებს, რაც ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და ინტეგრაციის პროცესს. ამავდროულად, აქტუალურად რჩება კულტურული პროგრამების გაფართოება და ცნობიერების ამაღლება.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესი ნათლად აჩვენებს, რომ სტრატეგიის განხორციელება შეუქცევადია და სხვადასხვა მიმართულებით პოზიტიური ტენდენციები ფიქსირდება. თუმცა, გამოწვევები კვლავ რჩება, რაც მოითხოვს დამატებით ძალისხმევას სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებაში, უმაღლესი განათლებისა და დასაქმების კავშირების გაძლიერებაში, ასევე ინფრასტრუქტურული და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების უფრო ფართოდ გავრცელებაში. ამ გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია, რომ სამოქმედო გეგმის მომდევნო ეტაპზე მეტი აქცენტი გაკეთდეს მიზნობრივ და საჭიროებებზე დაფუძნებულ ნაბიჯებზე, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ინტეგრაციის კიდევ უფრო მაღალ ხარისხს.